



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის
31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ნაერთი (კონსოლიდირებული)
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

4 დეკემბერი, 2024 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახული იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

გენერალური აუდიტორის
მოადგილე

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	10
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამობის საკითხები	12
4. საკონტაქტო ინფორმაცია	15

1. ტერმინები და შემოკლებები

მერია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS).

ა(ა)იპ – არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2. რეკომენდაციები

2.1. მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

- 2023 წელს საჯარიმო სანქციების სახით დარიცხულია, სულ – 22,922,009 ლარი, მათ შორის, 12,400,538 ლარი დარიცხულია მუნიციპალიტეტის სისტემაში შემავალი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და ა(ა)იპ-ის მიერ, ხოლო 10,521,471 ლარი – სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის მიერ (შსს, გარემოს დაცვა და სხვ.). მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული თანხიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაუხდელი თანხის სახით ნაშთად ირიცხება 9,291,066 ლარი. მუნიციპალიტეტში საჯარიმო სანქციის სახით დარიცხული თანხები აღრიცხულია მოთხოვნებში.¹

- მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება 17,364,195 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც 2009 წლამდეა წარმოშობილი და რომელთა შესახებ დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი, ასევე არ არის წარდგენილი ავანსის გამოქვითვის დოკუმენტაცია.

- შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებულ შედარების აქტსა და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შედარებით აღმოჩნდა, რომ:

- მუნიციპალიტეტის მერიაში მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება 102,185 ლარით გაზრდილად არის წარდგენილი. ამასთანავე, 271,763 ლარის დავალიანების წარმომავლობა არ დგინდება;

- ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება 101,852 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

- მუნიციპალიტეტის მერიაში ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები² 62,735 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

- მუნიციპალიტეტის მერიას ერიცხება 993,365 ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 2010-2018 წლებში, რომელზეც ბრუნვა არ განხორციელებულა წლების განმავლობაში. შესაბამისად, მათი დაფარვის ალბათობა დაბალია.

- მუნიციპალიტეტს, ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებია, ასევე არ არის შედგენილი შედარების აქტები. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, დავალიანების მქონე პირებთან

¹ თუმცა უფლებამოსილების ფარგლებში მათ ამოღებასთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა.

² საიჯარო გადასახადი

	გაიგზავნა წერილები, თუმცა შესაბამისი ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების“ მუხლი – 62,402 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი და ვერ მივიღეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 17,364,195 ლარის დებიტორული დავალიანების სისრულეზე, არსებობასა და სისწორეზე.
მიზეზი	დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების არასათანადო კონტროლი.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მოთხოვნებისა და ვალდებულებების“ მუხლებში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ჩატარდეს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, ურთიერთშედარების აქტების გაფორმება, დებიტორებისა და კრედიტორების რეალობისა და დაფარვის ალბათობის შეფასება, ასევე დაჩქარდეს დავალიანებების ამოღების პროცესი და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკურ ბაღი.

2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულია 11 ერთეული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მუნიციპალიტეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვისთვის არ იყენებს კაპიტალ-მეთოდს, არ აკეთებს წილის კორექტირებას ნამეტი/დეფიციტით და გაუფასურებით. „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში აღრიცხულია მხოლოდ თავდაპირველი შენატანები და შემდეგ მისი კორექტირება არ ხდება. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხული 266,104,330 ლარის აქტივების სისწორესა და სისრულეზე.
-----------------	--

მიზეზი	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 5). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №3.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.3 საინვესტიციო ქონება

აუდიტის მიგნება	მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საოპერაციო იჯარის შესახებ გაფორმებული აქვს 380 ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისად საიჯარო გადასახადის სახით ყოველწლიურად გადახდას ექვემდებარება 3,302,965 ლარი. მუნიციპალიტეტში არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იჯარით გაცემული ქონება ბუღალტრულად არ არის აღრიცხული და შესაბამისად, ის არც ფინანსურ ანგარიშგებაში ფიგურირებს. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „საინვესტიციო ქონების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი. საიჯარო ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი გაფორმებულია წინა წლებში და მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იჯარით გაცემული ქონების ღირებულების შესახებ. იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვებლობა, ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლის არასწორ ასახვას იწვევს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) „წმინდა აქტივის/კაპიტალის“ მუხლის სისწორეზე. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „საინვესტიციო ქონების“ მუხლის სისწორესთან დაკავშირებით.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „საინვესტიციო ქონების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული (იხ. თავი 5). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №4.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.4 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 752,657,854 ლარს შეადგენს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულყოფილად არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად ითვლება. აღნიშნული აქტივების სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული. მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება 2800 ერთეულზე მეტი მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და არ არის შეფასებული.

შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლი არასრულადაა წარმოდგენილი.

სსბასს 17-ის – ძირითადი აქტივების შესაბამისად,³ „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს“ და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.⁴

მუნიციპალიტეტის მერიასა და მისდამი დაქვემდებარებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გადასინჯვა 2023 წელს არ განხორციელებულა. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდისთვის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალნასზე ირიცხება 1120 ერთეული ძირითადი აქტივი, რომლებიც სრულად გაცვეთილია.

მიზეზი

აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

³ პუნქტი 67.

⁴ სსბასს 3-ის შესაბამისად.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ და ბუღალტრულად აღურიცხავ ქონებებთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი შეფასებები, დააკლასიფიციროს და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს არაფინანსური აქტივების ხარისხობრივ მახასიათებლებს, მათ შორის, უნდა შეფასდეს აქტივების შემდგომი გამოყენების, ჩამოწერის და გაუფასურების საკითხები.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.5. ძირითადი აქტივების ცვეთა**აუდიტის მიგნება**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების“ მუხლი 18,658,463 ლარით არის წარმოდგენილი. ცვეთის დარიცხვასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ცვეთის ხარჯი 723,730 ლარით გაზრდილად არის დარიცხული;

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადი აქტივების მახასიათებლებისა და დანიშნულების შესახებ, ასევე ცვეთის გაანგარიშებისას ისტორიულ ღირებულებად რიგ შემთხვევებში გამოყენებული აქვთ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულება, აღნიშნულის გამო ვერ იქნა გადანგარიშებული 2023 წელს დარიცხული ცვეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების“ მუხლი 723,730 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ამასთანავე ვერ მივიღეთ რწმუნება ცვეთის სახით დარიცხულ 3,549,560 ლართან დაკავშირებით.

მიზეზი

აღრიცხვის და ცვეთის ინსტრუქციების მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

„ძირითადი აქტივების“ და „დაგროვილი ცვეთის“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების და დაგროვილი ცვეთის სამართლიანი აღრიცხვისათვის, ორგანიზაციებმა გადაიანგარიშონ წინა პერიოდებში არსებული ცვეთის თანხები ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თუ შეუძლებელია აღნიშნული დაასაბუთოს და განმარტოს ფინანსური

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
 ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;
 ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო;
 ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაპტური დაგეგმარების სამსახური;
 ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი;
 ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია;
 ა(ა)იპ – ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო;
 ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
 ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოები;
 ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;
 ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრი;
 ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი;
 ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი „ნონა“.

2.6 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 43,9,34,241 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

– მუნიციპალიტეტის მერიას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 2,405,025 ლარის ღირებულების 8 დასახელების მარაგი,⁵ რომელიც საჭიროებს კლასიფიკაციას „ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

„მატერიალური მარაგების“ მუხლი ზედმეტობითაა წარმოდგენილი, ხოლო „ძირითადი აქტივების“ – შემცირებულია.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის მერიამ „მარაგების“ მუხლში აღრიცხული აქტივები შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, განსაზღვროს შესაბამისი მომსახურების ვადები და აღრიცხოს „ძირითად აქტივებად“.

⁵ საკალიბრაციო მოწყობილობა (არაზენი), სიგნალის მიმღები (KFW, მეტერსი), 5 ერთეული სარეკლამო (თხევად-კრისტალური) ეკრანი, ლაბორატორიული მოწყობილობა-დანადგარები.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

2.7 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის ინვენტარიზაცია აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის არ იყო დასრულებული, ხოლო ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში – არ ჩატარებულა.

– აუდიტის ჯგუფმა, წინა წლის აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე, ადგილზე შეამოწმა ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების ფიზიკური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. კვლავ არ არის უზრუნველყოფილი აქტივების დაზიანებისგან დაცვისა და შენახვის პირობები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მწყობრიდან გამოსვლას. ზემოაღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის სისუსტესა და ფინანსური/არაფინანსური აქტივების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

მიზეზი

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე; ფინანსური/არაფინანსური აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებები.

გავლენა

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირებას.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

3.1 შიდა ჯგუფური ოპერაციები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ამოითიშება და ანგარიშგება მომზადდება ისე, თითქოს ეს ოპერაციები საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.⁶

მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის განხორციელებული ელიმინირების პროცესი. კერძოდ: ა(ა)იპ – ბოტანიკური ბაღის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაზე⁷ და ა(ა)იპ – გამწვანებისა და ლანდშაპტური დაგეგმარების სამსახურზე⁸ გადაცემული 29,860 ლარის ღირებულების სასაქონლო გრანტი არ არის ელიმინირებული.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტის სახით მიღებული შემოსავალი 29,860 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კომპონენტი, სადაც

გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – ბოტანიკური ბაღი;

ა(ა)იპ – გამწვანებისა და ლანდშაპტური დაგეგმარების სამსახური.

3.2 დაუმთავრებელი და გასაყიდად გამოზნული/ გადასაცემი აქტივები

აუდიტის მიგნება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების სახით რიცხული 712,620,514 ლარიდან, 682,228,631 ლარი დაუმთავრებელი წარმოების ნაშთია, რომლებიც ფაქტობრივად დასრულებულია და შესულია ექსპლუატაციაში, თუმცა მათი შესაბამის მუხლებში გადატანა არ მომხდარა. დაუმთავრებელი წარმოების მუხლში აღრიცხვის გამო, აღნიშნულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთის ხარჯი. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლი 682,228,631 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კომპონენტი, სადაც

გამოვლინდა დარღვევა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

⁶ სსბასს 35, მუხლი 40.

⁷ 1,175 ლარი.

⁸ 28,685 ლარი.

3.3. განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული მუნიციპალიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შესაბამისი სრული ინფორმაცია. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,⁹ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი უნდა იყოს სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია ან საჭიროების შემთხვევაში უნდა აღირიცხოს შესაბამისი მუხლში.¹⁰ მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში შემავალი ყველა ერთეულის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში შემავალი ყველა ერთეულის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

⁹ სსბასს 1, პუნქტი 27.

¹⁰ სსბასს 19.

4. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

4.1. ტრანსპორტის ხარჯები

აუდიტის მიგნება

2023 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაწესებულებებში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ჯამში გახარჯულია 590,869 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 93 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 467,681 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 56 ერთეულ ავტოსატრანსპორტზე – 124,188 ლარის საწვავი. ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დაწესებული მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის მიზნობრივად ხარჯვის სრული დოკუმენტური დადასტურება. მიზანშეწონილია, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმი.

კომპონენტი, სადაც

გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო;

ა(ა)იპ – ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

5. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია №1

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების სრულ ინვენტარიზაციას, ურთიერთშედარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობისა და დაფარვის ალბათობის შეფასებას, ასევე დაჩქარდეს დავალიანებების ამოღების პროცესი და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – მიმდინარე.

რეკომენდაცია №2

მიზანშეწონილია შეიქმნას კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებს შორის კოორდინირებულ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ქალაქ ბათუმის საფინანსო სამსახურისთვის ფინანსური ინფორმაციის (მონაცემების) სრულ და დროულ მიწოდებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან წარდგენას.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – შესრულებული;
ა(ა)იპ – მუნიციპალური ინსპექცია – შესრულებული.

რეკომენდაცია №3

მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი, წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანების გათვალისწინებით, ხოლო შემდგომ გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

მუნიციპალიტეტის მერია – მიმდინარე.

რეკომენდაცია №4

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და იჯარით გაცემული აქტივების შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას, აქტივების სათანდო შეფასებასა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად აღრიცხვას.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

მუნიციპალიტეტის მერია – მიმდინარე;
ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი – შესრულებული.

რეკომენდაცია №5

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის ქონებებთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი შეფასებები,

დააკლასიფიციროს და აღრიცხოს ისინი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – მიმდინარე.

რეკომენდაცია №6

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტომ უზრუნველყოს სააგენტოსთვის გადაცემული აქტივების მოძიება და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვა. დანაკლისების გამოვლენის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – შესრულებული;

ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო – შესრულებული.

რეკომენდაცია №7

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – მიმდინარე;

ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დეგემარების სამსახური – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია – შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის სასაფლაოები – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა – მიმდინარე;

ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრი – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი – ნაწილობრივ შესრულებული;

ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი „ნონა“ – ნაწილობრივ შესრულებული.

6. საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	გოჩა შარაბიძე ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: gsharabidze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE